ბუჩრის ერეოგის მოამგე

№ 7

ფასი 3 მანეთი

ერობის ყოველკვირეული გაზეთი

კვირა 15 თებერვალი 1920 წელი ქ. ოზურგეთი

15 თებერვალი.

დიდი ჭაპან-წყვეტა, დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა ქართველ ხალხს, ვიდრე ის მოიპოვებდა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, დემოკრატიულ რესპუბლიკას.

დიდ რევოლიუციამდე საქართველოს დამოუკიდებლობაზე ოცნებასაც კი ვერავინ გაბედავდა. აბა გადააველეთ თვალი ამ სამი წლის ისტორიას და სთქვით მიუდგომლათ, რამდენ ხელ ყოფილა ჩვენი ხალხი მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო უფსკრულის კიდეზე მიმდგარი?

ვინ იყო, რომ ჩვენს თავისუფლებას არ გადაელობაწინ. —ფრონტიდან დაბრუნებული გაბოლშევიკებული ზღვა ჯარის კაცები, ოსმალთა ურდოები, სომხებთან ომი, საბჭოთა მთავრობა, ბალშევიკური გამოსვლები, მოხალისეთა გამოლაშქრება და მრავალი სხვა განა ყველა ესენი ჩვენს განადგურებას არ ლამობდენ?. ეხლა გარეშე ძალები, ხან ერთი ხან მეორე ილესავდა ჩვენზე კბილს, ყველას ჩვენი აკლება სურდა.

მაგრამ ბედნიერ ვარსკლავზე დარჩა დატრიალებული საქართველოს ბედი. ერთი მხრით ქართველი ხალხის მტკიცე ორგანიზაციულმა შეკავშირებამ თავის ხელმძღვანელთა გარშემო და მეორე მხრით ბრძოლაში გამოწრთობილ მეთაურთა ბრძნულმა პოლიტიკამ იხსნა ჩვენი ქვეყანა განადგურებისაგან და მიანიჭა მას სრული ეროვნული დამოუკიდებლობა და ხალხური მართვა-გამგეობა.

უკვე მოეწყო დემოკრატიული რესპუბლიკა და დღითი დღე მტკიცდება ის. სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ჩქარი ნაბიჯით მიექანება წინ. ეწყობა სახელმწიფოს, როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელი აპარატები. დამფუძნებელი კრება, რესპუბლიკის ცენტრალური მთავრობა, ერობა და თემი ყველა ფხიზლათ, წინდახედულათ და მარჯვეთ აწყობს თავის საქმეს. სახელოვანი ჯარი და გვარდია, ჩვენი წესრიგის დამცველი მილიცია, ყველა ერთი მეორეს ეჯიბრება ჩვენი დამოუკიდებლობის განმტკიცებაში.

ჭეშმარიტად საზღაპრო ნიჭი და თავდადება გამოიჩინა ქართველმა ხალხმა სახელმწიფოს აშენებაში, თავისი პოლიტიკური ცხოვრების მოწყობაში; მაგრამ ჩვენს სახელმწიფოს მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობა ვერ ააშენებს.

პოლიტიკური წყობილება მხოლოდ მაშინ არის ურყევი, როცა ის დაფუძნებულია მტკიცე ეკონომიურ ნიადაგზე. აქედან ცხადია, ვისაც სურს მოპოვებული პოლიტიკური თავისუფლების შენარჩენა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცება, ის უპირველესად ყოვლისა უნდა ეცადოს, რომ შექმნას ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებაში ისეთი ურთიერთობა, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის განვითარება-აყვავებას.

ეკონომიური კეთილდღეობა და მაზე დამოკიდებული ფინანსიური სიძლიერე არის ქვაკუთხედი ყველა სახელმწიფოს წყობილებისა.

ამ მხრივ ჩვენი მდგომარეობა ფრიად კრიტიკულია, მაგრამ არა დაუძლეველი. ჩვენს ქვეყანაში დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრეა: მარგანეცი, ქვანახშირი, სპილენძი. ნავთის და სხვა მადნების დიდი ნიშნები იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ საქართველოს დედამიწის გულში აუარებელი სიმდიდრეა დამარხული სხვა და სავა ძვირფასი მადნების სახით. ეხლა თვალჩენილი სიმდიდრე: ჩაი, თამბაქო, თხილი მანდარინა, ღვინო და სხვა სასოფლო ნაწარმოები: ბამბა, მატყლი, ბარკი და სხვა; ჩვენი ქვეყნის ნაწარმოები; ნედლი მასალა, სხვა ქვეყნის ქარხნებს რომ ამუშავებენ; ეხლა დიდძალი მთისა და ბარის ხეტყე, საძოვარი ადგილები, სამკურნალო წყლები და აგარაკები, უფასო ძალის წყარო მრავალი მდი-

ნარეები, ეს ბუნების უშრეტი სიმდიდრე, რომელსაც სულ მცირე შრომით დიდ ძალი ხეირის მოცემა შეუძლია. ყველა ეს საჩუქარი, რომელიც ბუნებამ მიაწოდა ქართველ ხალხს, იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ შრომით, ᲮᲐᲤᲘᲗ და ენერგიით ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა სულ მოკლე დროში გამოᲮᲝᲑᲘᲜᲓᲔᲑᲐ.

პოლიტიკური თავისუფლება მოგვიპოვა და გაგვიმტკიცა ცენტრალურმა მთავრობამ, ეკონომიური ცხოვრება უნდა მოაწყოს განსაკუთრებით ადგილობრივმა თვითმმართველმა და მმართველმა ორგანიზაციებმა: ერობამ, ქალაქმა, თემმა. ისინი თავგამოდებით უნდა შეუდგენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღორძინების საქმეს: მოაწყონ ადგილობრივათ წარმოებები, სადაც ეს მათ შეუძლიათ, შეუწყონ ხელი ცენტრალურ მთავრობას, სადაც კი ის გამოვა ამ საქმის მეთაურათ. ეჭვი არ არის, ეს საქმე ორ დღეში არ გაკეთდება. განსაკუთრებით ძნელია ამ დარგის მოწყობა დღევანდელ ყოველმხრივ ნგრევისა და აფორიაქების ხანაში, მაგრამ საქმის სიძნელემ ჩვენ კი არ უნდა შეგვაშინოს, პირიქით, უნდა გაგვიორკეცოს ენერგია.

შინაური ცხოვრების მოწესრიგებაში ჩვენი თემი და ერობა უნდა დაადგეს სავალდებულო ნატურალური ბეგარის გზას: გზებისა და ხიდეების კეთება, ჭაობების გაშრობა, წყლის ნაპირების გამაგრება, რომელნიც შეადგენენ ეკონომიურ ცხოვრების მოწესრიგების უპირველეს აუცილებელ პირობას, უნდა შეასრულოთ საკუთარი სავალდებულო შრომით, უფულოთ. რესპუბლიკის ცენტრალურმა მთავრობამ ყველა თემს უნდა მისცეს სახელმწიფო ფონდიდან შესაფერი ნაკვეთი მიწა მეურნეობის მოსაწყობათ და დაეხმაროს მათ სესხით ამ მეურნეობის მოწყობაში. თემებმა თავის მხრით სწრაფათ და უკლებლათ უნდა შეიტანონ რესპუბლიკის ხაზინაში თუ ერობის კასაში წილხდომილი გადასახადი.

მხოლოდ ადგილობრივ ძალების მწყობრ ორგანიზაციულ მუშაობას შეუძლია შექმნას ისეთი ეკონომიური პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს პოლიტიკურ თავისუფლებას.

ჩვენ მტკიცე კავშირით დავირაზმეთ ჩვენი სასიქადულო მთავრობის გარშემო და კიდევც მოვიპოვეთ მთელი ქვეყნისთვის სასტრელი პოლიტიკური თავისუფლება, ჩვენ ასეთივე სიმტკიცით შევკავშირდებით ადგილობრივი თემისა და ერობის გარშემო ეკონომიურ საქმიანობაში, საკუთარი ცხოვრების მოწყობაში და ამით შეექმნით ისეთს ეკონომიურ პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ᲮᲜᲮᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი მკითხველთან.

VI

საზოგადოებრივი აღმშენებლობა და „მოამბეზე"

ყველა შენობას აქვს თავისი ნაწილები, რომელთა აგება და ერთ გარკვეულ ფორმაში ჩამოსხმა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება შენობის აგების ყველა წესები.

დურგალმა იცის სახლის შენება, ის წინ და წინ ადგენს შენობის პლანს, იმარაგებს საშენ მასალას, სკვნის საძირკველს, აყავს კედლები, უკეთებს საყარს, მოყავს შენობა სახურავში და შემდეგ კიდევაც ხურავს მას.

ეს შედარებით იოლი საქმეა, ამაში დახელოვნებაც შესაძლებელია. ვისაც ძველი შენობის ალაგას ახლის აშენება უნდა, ის ᲯᲔᲠ დაშლის ძველ შენობას, შემდეგ კი ახალს ააშენებს ახალი გეგმით, ახალი მასალით.

მაგრამ არის სხვაგვარი შენობა, რომლის აგება ისე იოლი არ არის.

საზოგადოებრივი წყობილებაც ერთნაირი შენობაა, რომლის აგება და მტკიცე, საფუძველზე დამყარება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სასტიკათ იქნება დაცული საზოგადოებრივი აღმშენებლობის წესები.

ამ წესების განსაკუთრებული თვისება იმაში მდგომარეობს, რომ ძველის ნგრევა და ახლის შენება თითქმის ერთსა და იმავე დროს ხდება. არ შეიძლება ახალი წყობილების დამყარება, თუ ძველი არ ინგრევა, არ შეიძლება ძველი წყობილების დანგრევა, თუ მის ალაგს ახალი არ იჭერს.

იყო ფეოდალური წყობილება, როცა მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონობა ერთი მუჭა მემამულე თავად-აზნაურების ხელში იყო, ხალხი კი მათი მორჩილი მონა და საწველი ფური. ამ ხანას ახასიათებს უფრო მარტივი, განკერძოებული ცხოვრება. თითოეული კუთხე საკუთარი ნაწარმოებით ირჩენდა თავს, თავის საჭირო და მოსახმარ საგანს თვითონ ამზადებდა.

ცხოვრება თან და თან გართულდა, მოთხოვნილება გაფართოვდა, გაჩნდა ლითონი, მეურნეობაში ფეხი მოიდგა ფულმა, მოსახმარ საგნების გაცვლა-გამოცვლის ალაგი დაიკავა საქონლის ვაჭრობამ. ფეოდალები ვერ დაეტიენ თავიანთ საზღვრებში, ვაჭრობის და წარმოების ინტერესებმა მოითხო-

ვეს ერთი მტკიცე თვითმპყრობელი მეფის მფარველობა.

ჩვენი ბატონყმური ხანა—გურიელობა-დადიანობა და სხვა შესცვალა რუსეთის თვითმპყრობელობამ. ჩვენი ხალხი—გლეხობა, ჩამოშორდა საკუთარ თავადბატონებს და დაუმორჩილდა თვითმპყრობელ მეფეს. აქ მხოლოდ როლები შეიცვალა. ერთი ბატონის ალაგი მეორემ დაიკავა. თავად აზნაურებს შერჩათ წარჩინება, წოდებრივი უპირატესობა და მეფის მფარველობა. ჩვენ ხალხს კი ისევ ყმობამონობა.

სამასი წლის განმავლობაში რუსეთის თვითმპყრობელობამ მოსჭამა თავისი მეფობა. ეს წყობილება იმდენათ მოძველდა, მისი საფუძველი, თვითმპყრობელური ბატონობა, იმდენათ გამოიფიტა, რომ მან ვერ გაუძლო უკანასკნელ საერთაშორისო ომს და დაეცა კიდეც მისი ზედგავლენით.

1917 წლის **26** თებერვალს უკანასკნელად ჩაესვენა თვითმპყრობელობის მზე და მიენიჭა ხალხს თავისუფლება, მაგრამ ყველამ ერთნაირად ვერ მოიხმარა ეს თავისუფლება.

რუსეთის ხალხი დღესაც იწვის ბალშევიკების მიერ დანთებულ ანარქიის ცეცხლში და არც იცის ვინმემ, როდის მოეღება ბოლო ამ უსაშინელეს ტრაღედიას.

ყოფილი უზარმაზარი რუსეთის იმპერიის მთელ სივრცეზე მარტო საქართველომ შესძლო ნამდვილი ხალხური მართვა-გამგეობის შენარჩუნება დემოკრატიული რესპუბლიკის სახით.

რისთვის ვერ შესძლო რუსეთის ხალხმა ძველი თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ახალი დემოკრატიული წყობილების აგება?. იმიტომ, რომ რუსეთის ხალხში ვერ იყო ჯეროვანათ მომწიფებული ახალი წყობილების ჩანასახი. ძველი წყობილება დაინგრა უფრო გარეშე პირობების ზედგავლენით, ვიდრე შინაურ ძალთა დამოკიდებლების სიმწიფით, ამიტომ ძველის ალაგას ახალი ძალა არ აღმოჩნდა და ამის ალაგი, ალბათ, დროებით დაიკავა ანარქიამ, არევ-დარევამ.

ჩვენი ხალხი აღმოჩნდა უფრო შეკავშირებული ორგანიზაციულათ. ამან იხსნა ის განადგურებისაგან. მოძრაობის სათავეში მოექცენ ნამდვილი ხალხის შვილები, თავდადებული გმირები, ბრძენი პოლიტიკოსები, ამათ მოუპოვეს ჩვენს ხალხს დამოუკიდებლობა და დემოკრატიული რესპუბლიკა.

დიდი საქმეა გაკეთებული, მაგრამ კიდევ უფრო დიდია გასაკეთებელი.

არ არის სიხელმწიფო წყობილების დანგრევა იოლი საქმე, მაგრამ ამაზე კიდევ უფრო ძნელია ახალი წყობილების დამყარება.

ჩვენს თაობას ჯერ კიდევ ახსოვს მამასახლისობა, ნაჩალნიკობა, გუბერნატორობა და მათი აპეკუნობა. დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მოგვცა ჩვენ სრული თვითმართველობა, მაგრამ თვითმართველი ჩვენი ხალხი მანამ ვერ გახდება, სანამ არ შეიგნებს ამ თვითმართველობის პრინციპს. ამ პრინციპს კი ის გაიგებს მხოლოდ მაშინ, როცა ეს თვითმმართველობა დაარწმუნებს მას სარგებლიანობაში.

ხალხი, მასსა, პოლიტიკასაც სარგებლიანობის წერტილით სჭვრეტს. ეს სარგებლიანობა კი მას თავისებურათ ესმის.

რამდენათაც იოლი დასანახი და შესათვისებელია თუნდაც უბრალო სახლის შენების პლანი და წესები, იმდენათ ძნელი დასანახი და ძნელი მისაწვდომია საზოგადოებრივი წყობილების ნგრევა—შენების წესები. სახლი შენდება წინასწარი განსაზღვრული პლანით, ცხოვრებას კი თავისი კანონები აქვს, მისი მიმდინარეობა შეიძლება საზოგადოთ მოხაზოთ წარსულის მიხედვით. მაგრამ დაწვრილებით მისი წესების გათვალისწინება ყოვლად შეუძლებელია.

საზოგადოებრივი ცხოვრება დაუსრულებელი ბრძოლაა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ყველა: ზოგი წინასწარ განზრახული მიზნით, ზოგიც უმიზნოთ და ამ ბრძოლაში ეცემა ერთი წყობილება, იჭედება მეორე. იმარჯვებს მხოლოდ ის წყობილება, რომელსაც ემხრობა ხალხი, მასსა. ხლხი კი ემხრობა ისეთს წყობილებას, რომელიც უკეთესათ აწყობს მის ცხოვრებას. უკეთ კი ის წყობილება აწყობს მის ცხოვრებას, რომელშიაც უზრუნველ ყოფილია მისი ბატონობა. ხალხის ბატონობა კი უაღრესად უზრუნველყოფილია დემოკრატიულ რესპუბლიკაში, თუ, რასაკვირველია, ხალხი შეიგნებს და შეითვისებს მას.

ამიტომ ჩვენს პოლიტიკას, ჩვენს რესპუბლიკას, ჩვენს ერობას და თემს ხალხი [illegible] იმდენათ, რამდენათაც ის ასარგებლებს მას.

ჩვენი დამფუძნებელი კრება დღეს იმუშავებს კონსტიტუციას. იჭვი არ არის, ის საუკეთესო და უაღრესად დემოკრატიული ქვეყნებიდან იქნება გადმოღებული, მაგრამ მისი განმტკიცება ჩვენში შესაძლებელია მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ის იქნება შეგუებული ჩვენი ცხოვრების სინამდვილეთან.

ასეთივე ბედი ეწევა საერობო და სათემო დებულებებს ჩვენში, თუ ეს დებულებანი არ იქნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრების სინამდვილის გამომხატველნი.

თემი ჩვენი რესპუბლიკის ძირითადი მმართველი და თვითმმართველი ერთეულია. ის ისე უნდა იქნას მოწყობილი, რომ სავსებით გამოხატავდეს ხალხის ნება-სურვილს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ის მოეწყობა ჩვენი სოფლის ცხოვრების სინამდვილეზე.

სოფლის ცხოვრების შესწავლა, მისი მართვა-გამგეობის მოწყობა, ერობისა და თემის გარშემო ხალხის დარაზმვა—შეკავშირება, ეს ისეთი საკითხია, რომლის გარშემო უნდა ტრიალებდეს მთელი ჩვენი მუშაობა.

„ერობის მოამბის“ დანიშნულებაც სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ მასას, ჩვენს ხალხს, გაუკვიოს თვითმართვის სავალი გზები. ამ მიზნით, თუ ერთის მხრით ის არკვევს შეძლების და გვარათ საჭირ-ბოროტო, წმიდა პრაქტიკული ხასიათის საკითხებს, მეორე მხრით ცდილობს თვით ხალხი ჩააბას ამ საზოგადოებრივ აღმშენებლობაში.

თემს აქვს დათმობილი ორი განყოფილება: „კითხვა—პასუხი“ და „თემთა ცხოვრებიდან“. პირველი განყოფილება შედარებით მოწყობილია, რედაქციას მოდის კითხვები და პასუხსაც იძლევა. სამაგიეროთ თემის ცხოვრებიდან თითქმის არაფერი იბეჭდება. უამისოთ კი თემის ცხოვრების გარკვევა ყოვლად შეუძლებელია. ნუ გვიწყენს თემი, თუ ამ გულგრილობაში ბრალი მას დავდოთ. ხომ მოგეხსენებათ: „მოყვარეს პირში უძრახვენ“. როცა თითქმის ყველა თემიდან მოდის ცნობები იმის შესახებ, თუ რა ყურადღებით ეპყრობა თემი „მოამბეს“, ხოლო ცნობებს კი თავის ცხოვრებიდან იძლევა მხოლოდ ორი, თუ სამი თემი, უნდა ვიფიქროთ, რომ წერის ფორმა თუ აშინებთ, თორემ სხვა მხრით როგორ უნდა აიხსნას ეს სამწუხარო მოვლენა?. თუ თემიდან ცნობებს ვერ მიიღებს, რედაქცია ვერ ჩაწვდება თემის ცხოვრების სიღრმეში და ვერ გააშუქებს სათანადოთ მის ამა თუ იმ მხარეს. ამით ის დაშორდება თემს და სარგებლობასაც ვერ მოუტანს.

ამიტომ საჭიროა ყველა თემი სისტემატიურათ აწვდიდეს ცნობებს „მოამბეს“. ნურავის აშინებს წერის ფორმა. რედაქცია თავით გაამართავს წერილებს საჭიროების მიხედვით. ეს მოვალეობა თემმა განსაკუთრებით უნდა დაავალოს რომელიმე მოხელეს, თუ კერძო მსურველი არ აღმოჩნდება. ამასთანავე აუცილებლათ საჭიროა ყველა თემის საბჭოთა და გამგეობის დადგენილებანი ეგზავნებოდეს „მოამბეს“. ის ჩაიხედავს ამ სინამდვილეში, ამოკრებს იქიდან საჭირო ცნობებს, დაგმობს მავნებელს, სასარგებლოს გამოამზევრებს [illegible] დასანახად და ამით ხელს შეუწყობს თემის სავალი გზების გაკვლევას.

გიქ. ღლონტი.

გამგეობის დადგენილებიდან:

— თანახმად ქვემოდ დასახელებულ სოფლების შუამდგომლობისა, დადასტურებულია გამგეობისა და ერობის ზოგიერთ ხმოსანთა 22 იანვრის თათბირისა და აგრეთვე დუაბზუსა და ლიხაურის თემთა გამგეობის მიერ, გამოეყოს დუაბზუს თემს სოფლები: გალმა-გამოღმა მელექედური, ბოხვაური და ს. ოზურგეთი; ლიხაურის თემს—ს. ექადია, და ეს სოფლები შეერთდეს ცალკე თემში, რომლის გამგეობის სამყოფ ადგილათ ცნობილი იქნეს ქ. ოზურგეთი. ამ თემს დაერქვას სახელათ „ოზურგეთის თემი“. ოზურგეთის თემის საბჭო შესდგეს 20 ხმოსნისაგან, რომელთა არჩევნები დაინიშნოს 15 თებერვალს. არჩევნების სახელმძღვანელოთ შესდგეს საარჩევნო კომისია ამფ. ღლონტის თავმჯდომარეობით.

— თავ-სურების პირველ დაწყებითი სკოლა დარჩეს სურების თემის საბჭოს მიერ ნაჩვენებ ადგილზე, ე. წ. „თეთრეულში“, სადაც ის ეხლა არსებობს.

— ნება მიეცეს სასკოლო განყოფილებას გამოიწეროს ერობის წიგნის მაღაზიიდან სახელმძღვანელოებისა და სხვა საჭირო წიგნების თითო ეკზემპლიარი ერობის ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის.

— გამგეობის თავმჯდომარეს ს. ჭანტურიშვილს მიეცეს ხუთას სამოცდა თუთხმეტი (565) მ. მის მიერ თბილისიდან ჩამოსული დელეგაციის საჭიროებისათვის გაწეული ხარჯების დასაფარავათ.

— დაევალოს სასკოლო განყოფილებას სასწრაფოთ მოახდინოს რევიზია უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლების კასისა, გამოარკვიოს მდგომარეობა ამ სასწავლებლების სპეციალური თანხებისა და 20 თებერვლამდე წარმოადგინოს ანგარიშები.

— მიღებული იქნას ერობის სამსახურში ივანე კვირკველია და დაინიშნოს რეგისტრატორათ სამხედრო ნაწილში 1 თებერვლიდან ა. წ.

— თანახმად საადგილ-მამულო განყოფილების მოხსენებისა, განთავისუფლდეს სამსახურიდან მდივნები:.

1, გურიანთის რაიონის საგრარიო კომისიისა—დიბ. აბაშიძე 15 იანვრიდან ა. წ. მის ადგილზე დაინიშნოს აქვსენტი მახარაძე.

2, ნატანების კომისიისა—კ. ვაშალომიძე 1 თებერვლიდან ა. წ. და მის ადგილზე დაინიშნოს ცისკარიძე იმავე რიცხვიდან;

3, ბასილეთის რაიონისა—ილ. თავამაიშვილი.

— ნება დაერთოს ქურთ მეჯოგეებს აძოვონ თავიანთი ცხვრის ჯოგი საფონდო მამულში „ხაშიაში“ საადგილ-მამულო განყოფილების მიერ განსაზღვრული ფასით.

— მიღებული იქნას ჩოხატაურის საველერინარო ამბულატორიაში მოსამსახურეთ ვლ. თოფურია 1 იანვრიდან 1920 წ.

— გაიგზავნოს თბილისში ვეტერინართა ყრილობაზე ექიმი—ვეტერინარი ეპ. კალანდარიშვილი.

— დაკვეთილ იქნას საჭირო სტატისტიკური ბლანკები სტატისტიკური განყოფილების მოთხოვნილების თანახმათ.

— უარი ეთქვას სუფსის თემს სესხის მიცემაზე.

— თფილისში ტეხნიკურ ძალთა ყრილობაზე წარმომადგენლათ არჩეულ იქნას გამგეობის წევრი, ტეხნიკური განყოფილების გამგე გ. ბერეჟიანი.

— დაწესდეს მორიგეობა გამგეობის მთავარ კანცელიარიაში; უნდა იმორიგეონ: რეგისტრატორებმა, მანქანაზე მომუშავეებმა და საქმის მწარმოებლის თანაშემწეებმა ყველა განყოფილებიდან და უცროსმა მოანგარიშეებმა.

მორიგეობა ხდება დღის 3 საათიდან საღამოს 9 საათამდე, კვირა-უქმე დღეებში კი დილის 9 საათ. საღამოს 9 საათამდე შუადღის 3 საათამდე შეცვლით.

— გადაიდოს ნატანებ-ოზურგეთის გზის შესაკეთებლათ ასი ათასი (100.000) მანეთი ტეხნიკური განყოფილების განკარგულებაში.

ამავე განყოფილებას თავის სრულს განკარგულებაში გადაეცეს ერთი ორ-ბოგრიანი ეტლი.

— სამეურნეო განყოფილების გამგის მოვალეობის ასრულება 8 ამა თებერვლიდან დროებით დაეკისროს სასურსათო საწყობის გამგეს დ. ჭანტურიშვილს და ამ თანამდებობის ასრულებისათვის მას დროებით მიეცეს 1.000 მანეთი თვეში.

— სასურსათო საწყობის გამგეთ ლანჩხუთში დაინიშნოს ნიკოლოზ ჭანტურიშვილი 29 იანვრიდან ორი ათას ხუთასი (2.500) მანეთი ჯამაგირით თვეში.

— ერობის გაზეთის „გურიის ერობის მოამბის“ თითო ცალი უფასოთ დაეთმოს ერობის განყოფილებების გამგეებს.

ერობის გამგეობის განკარგულებიდან:

თემთა მიმართ.

სამაზრო ერობის გამგეობის მიერ შემჩნეულია, რომ ზოგიერთი თემის გამგეობა სრულიად შეუმოწმებლათ იძლევა მოწმობებს სილარიბის, ოჯახური ნივთიერი მდგომარეობის, რომელიმე შვილის ოჯახის მარჩენალობის, კეთილსაიმედოობისა, თუ სხვა ასეთების შესახებ; არ ჰკრებს საკმაო ცნობებს, არ ახდენს გამოძიებას და მხოლოდ თვით მთხოვნელის მიერ მოწოდებული ცნობებით, ანდა უკეთესს შემთხვევაში, მის მიერ დასახელებული მოწმეების შეკითხვით კმაყოფილდება ასეთი მოწმობების გაცემისა, თუ თხოვნების დამოწმების დროს. ასეთი მოქმედება-კი ხშირათ დიდ გაუგებრობასა და არა სასურველ შედეგს იწვევს ზემო ინსტანციებში, სადაც ხშირათ სავსებით ეყრდნობიან თემის მიერ გაცემულ მოწმობებს. ამიტომ სამაზრო ერობის გამგეობა საჭიროთ სცნობს განუმარტოს თემთა გამგეობებს, რომ მათ ძლიერ ფრთხილათ გასცენ ყოველგვარი მოწმობები და ასევე ფრთხილათ დაუმოწმონ მთხოვნელთ ესა, თუ ის სამაზრო ერობაში, თუ სხვა უმაღლეს დაწესებულებებში წარსადგენი შუამდგომლობები. ყოველივე ცნობები შეკრებილ უნდა იქნეს თვით თემის გამგეობის თავმჯდომარის ან გამგეობის წევრის მიერ და გამგეობა უნდა დაეყრდნოს მხოლოდ ასეთ ნაირად შეკრებილ ცნობებს.

უნდა იგულისხმოს თემის გამგეობამ, რომ ყალბი ცნობების მოწმობაში მოთავსებისათვის პასუხის მგებელია თემის გამგეობა და არა ის პირები, რომლებმაც მიაწოდა—მათ ეს ცნობა.

— თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ ამნიტის შესახებ მიღებულ დეკრეტის მე 19 მუხლისა განთავისუფლებულია სამართალისა, სასჯელისა და ყოველი მისი შედეგებისაგან ყველა დეზერტირები (ჯარიდან გამოქცეული ჯარის კაცები), თუ ისინი უკანვე გამოცხადდებიან სამსახურში 1-მარტამდე.

აცხადებს რა ამას თემთა გამგეობების საყურადღებოთ სამაზრო ერობის გამგეობა, ავალებს მათ საჯაროთ—ყრილობებსა ან უბნის კრებებზე ფართოდ განუმარტონ ეს ხალხს და მიიღონ ზომები, რომ

დეზერტირები აღნიშნულ ვადაში უკანვე დაბრუნდნენ თავიანთ ნაწილებში და მით სასჯელი თავიდან აიცდინონ.

— თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა № 300|417, ოსურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა სთხოვს თემთა და ქალაქთა გამგეობებს, რათა მათ არ მისცენ პასპორტი 1888—1899 წლებში დაბადებულთ, ვისაც სამხედრო აღრიცხვის განეოფილების უფროსის მოწმობა არ ექნება და ძველი უმოწმობოთ მიცემული პასპორტი გამოაცხადონ გაუქმებულათ.

თემის ცხოვრებიდან.

ჩიბათი.

ჩიბათის თემის საბჭომ 17 იანვრის სხდომაზე გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

1, დაევალოს საბჭოს ყველა წევრებს გამოიკვლიონ დაუთესავი მიწები თავ-თავის კუთხეში. ამავე დროს იქმნას განცხადება გამოკრული თვალსაჩინო ადგილზე, რომ ვისაც აქვს მოსავლიანი თავისუფალი მიწები, დათესონ და ან აცნობონ თემის გამგეობას, რომ მან დათესოს.

2, ხელმეორეთ ეთხოვოს სამაზრო ერობას, რაც შეიძლება დაჩქარებით გამოგზავნონ ტეხნიკი თხრილების გაყვანის პლანის შესადგენათ და ხელმძღვანელად, ვინაიდან მცხოვრებლები ძლიერ საჭიროებენ საყანეების გაშრობას,

3, იქნას ტეხნიკი მოყვანილი და მისი პლანის თანახმად შეკეთებული ჩიბათის გზები. გზაზე გასვლა სამუშაოთ ევალება, როგორც საგზო კომისიას, ისე საბჭოს ყველა წევრებს.

4, ეთხოვოს ერობის გამგეობას, რათა დაჩქარებით იქნას დამტკიცებული ჩიბათის თემის გამგეობის მიერ წარდგენილი ფერშალი. *)

*) წარდგენილი ფერშალი ბყონია უკვე დაამტკიცა ერობის გამგეობამ, რაც ეცნობა ლანჩხუთის ექიმს შარაშიძეს.

რედაქტია.

როგორ უნდა იქცეოდენ მცხოვრებნი, როცა გაჩნდება ღორის, ქათმის, (საერთოდ ფრინველების), ცხენების და ძაღლის ვადამდები სენი.

ღორის ჭირი.

როცა გაჩნდება ღორის ჭირი, ასე უნდა მოიქცეთ:

დაუყოვნებლივ უნდა განაცალკევოთ ავათმყოფი ღორი ისეთ ადგილებში, რომლებიც ოჯახს გარდამეზობლებისაგანაც დაშორებულია და ასეთ შემთხვევების შესახებ უნდა აცნობოთ ადგილობრივ თემს და სავეტერინარო პერსონალს ზომების მისაღებათ. ღორის ჭირი უმთავრესათ სამ გვარია: ა) როტა, ბ) ფილტვების გადამდები ანთება და გ) მუცლის ჭირი. შესაძლოა იქნეს კიდევ ციმბირის ჭირი, ცოფი და სხვა, მაგრამ ამ უკანასკნელებს ჩვენში ფართე ხასიათი არ აქვს, ამიტომ უნდა მიაქციოთ ყურადღება შემდეგ ნიშნებს ზემოთ ნაჩვენები სამგვარი ჭირისა:

როტა და მისი ნიშნები: ა) როცა ღორებს „როტა“ ემართებათ, მაშინ ისინი მოწყენილი არიან, სიცხე 40 გრადუსამდე და მეტზედაც იწევს, საჭმელს ნაკლებათ ღებულობენ და შემდეგ კისრის გარშემო, ყურებზე და მთელ ტანზედაც წითლათ დაიპეპლება და სხვა. ეს უფრო კარგათ ვმჩნევათ თეთრ ღორებს.

ფილტვების **ანთება** და მისი ნიშნები: ბ) როცა ღორებს ფილტვების გადამდები ანთება აქვთ, იმ შემთხვევაში ღორები საჭმელს ნაკლებათ ეტანებიან და რადგანაც სიცხე მომატებული აქვთ, წყალს ბლომათ სვამენ და მეტნაწილათ ახველებენ, თან ხშირათ მუცელში შეკრულობაც ემჩნევათ.

მუცლის **ჭირი „ჩუმა“** და მისი ნიშნები: გ) როცა ჩნდება მესამე გვარის ჭირი, მუცლის ჭირი (ჩუმა), მაშინ ღორებს ემჩნევათ სიცხის მომატება, მადის დაკარგვა, პირველათ მუცლის შეკრულობა და ბოლოს-კი ფაღარათიც. ადნიშნულ სამ შემთხვევაში ასე უნდა მოიქცეთ:

ა) თუ როტა ემჩნევათ, მაშინვე უნდა აცნობოთ სავეტერინარო პერსონალს. სავეტერინარო პერსონალის მოსვლამდი კარგათ მყოფნი და ავათ მყოფნი ცალ-ცალკე დააყენოთ. კარგი იქნება დაწინლებული ადგილები დაუგრილოთ რითიმე და უსვათ ზედ რომელიმე ზეთი, ან ღორის ქონი და სხვა.

ბ) თუ ფილტვების ავათმყოფობა აქვს, ახველებს და შეკრულობაც ემჩნევა, კარგი იქნება გვერდებზე ცივი ტილოები შემოახვიოთ ადრე-ადრე, უზილოთ გვერდები ნელ-ნელა ქაფურის ზეთით, გაუკეთოთ საპონ-წყალის ოყნა და აძლიოთ რბი-

ლი საჭმელი, მოდუღებული ფიფინა და სხვა. ბინა, რასაკვირველია, თბილი და მშრალი უნდა ექნეს.

გ.) მესამე შემთხვევაში, როცა მუცლის ჭირი ემჩნევა და თანაც უკვე შეკრულობაც აღმოაჩნდება, კარგია ერთი ლიმონათის ბოთლი საპონ-წყალი დაალევინოთ, გაუკეთოთ საპონ-წყლის ოყნა, გააჩეროთ თბილათ, აძლიოთ რბილი საჭმელი და სხვა.

თუ ავათმყოფი მოკვდა, ლეში უნდა დაიმარხოს ღრმათ მიწაში, ორ ნახევარ არშინზე მაინც. ზედ უნდა მოაყაროთ კირი, ხოლო ის ადგილები, სადაც ავათმყოფი იყო, უნდა მოწმინდოთ, უსუფთაობა ჩაჰყაროთ ღრმა ორმოში და დამარხოთ. კარგი იქნება, ასეთ ადგილებზე მოასხათ ნაცარ'ალი, კირ-წყალი, გაუწმენდელი კორბოლოვის სიმეავე, ან სხვა რომელიმე სადეზინფექციო რამ.

(გაგრძელება იქნება.)

ექ. კალანდარიშვილი.

ხმა ოემიდან.

ბევრი იწერებოდა და იწერება ტყეზე და მის მნიშვნელობაზე. არ არის გასაკვირი, ტყე უმთავრესი განძია საქართველოს შემოსავლისა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ხალხის უმრავლესობა თუმცა სიფრთხილით ეპყრობა ტყეს, მიუხედავათ ამისა ტყის გამანადგურებელთ მაინც არ ამხელენ. ამბობენ: ტყეს ყავს თავისი მცველები, იმათ დაიჭირონ ქურდებიო. მიზან შეწონილი იქნება, თუ მაზრის ტყეს თვით სამაზრო ერობა დაცავს თემების საშუალებით. მაშინ ბოროტ-მოქმედების საშუალება მოესპობა, როგორც ქურდებს, ისე მათი ხელის მომწყობთ. ხშირათ ტყის გამგენი იბარებენ ტყის გამჩეხთ და ეუბნებიან: ამდენი გადიხადეთ, თორემ საქმე რომ სასამართლოს გადავსცეთ, უფრო ძვირი დაგიჯდებათო. მე არ ვიტყვი, რომ ქრთამს იღებენ (ბოროტი ენები ამასაც კი ამბობენ), მხოლოდ ეს კი არის, დამნაშავეს უმსუბუქებენ სასჯელს. საჭიროა დამნაშავენი სასტიკათ დაისაჯონ, თორემ ვნადგურდებით. საჭიროა მიიღოს ზომები სამაზრო ერობამ, ადრე ამოუჩინოს ტყეს გულშემატკივარი დამცველი, თორემ მერმედ გვიანი იქნება. მე არ ვიტყვი, რომ ჯარიმის სახით ხაზინაში ფულები არ შედიოდეს, მაგრამ ეს კი არის, რომ მერე ტყის მაგიერ დაგვრჩება ტყის ნამყოფი, რომლის ზარალს ვერ აგვინაზღაურებს ეხლანდელი ჯარიმები.

თემებში მოწერილობაა მოსული: „რეგისტრაციისათვის ჯარის კაცები გამოგზავნეთ ოზურგეთში“-ო. სასურველი იყო გასწეოდა ... ოზურგეთში რაიონებს და რეგისტრაცია მომხდარიყო ისე, როგორც ჯარის კაცების გაყვანა.*) შეიძლება ყველას ოზურგეთში მოყვანამ ქალაქ ოზურგეთს მისცეს რამოდენიმე ასი მანეთის სარგებელი, მაგრამ ამით ხალხს მიეცემა რამოდენიმე ათი ათასი მანეთი ზარალი სამგზავრო ხარჯებისა და შრომის სახით.

გ. ...

მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი ზურიაში

13 თებერვალს ქალაქ ოზურგეთში ჩამობრძანდა შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრი ბ. ნოე ბესარიონის-ძე რამიშვილი. სადილატანებში მას შეეგებენ სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარე ბ. სიო ჭანტურიშვილი და მაზრის მილიციის უფროსი თაყაიშვილი, ხოლო ქალაქის საზღვარზე ქალაქის თავი ბ. გ. მურვანიძე და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე თოთიბაძე და სხ.

თვითმმართველობის ქუჩაზე მინისტრს დახვდა დაწყობილი ჯარი, გვარდია და მილიცია. მინისტრის შესახვედრად თავი მოეყარა აგრეთვე საზოგადოებას.

მინისტრი პირველად მიესალმა მხურვალე სიტყვით ჩვენს საამაყო მხედრობას, მიულოცა მას საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მოკავშირეთა მიერ და იმედი გამოსთქვა, რომ ამას შემდეგ ჩვენი მხედრობა კიდევ მეტის თავდადებით დაიცავს თავის საყვარელ თავისუფალ დემოკრატიულ სამშობლოს.

შემდეგ ბ. მინისტრი შებრძანდა ქ. გამგეობაში, ხოლო ცოტა ხანს მერე—სამაზრო ერობის შენობაში.

ერობის დათვალიერებისა და მოხოვნელთა მიღების შემდეგ ის გაემგზავრა ადგილობრივ ციხის შენობაში მოხსენების გასაკეთებლათ. მიუხედავათ ძალიან ტუ'ი ამინდისა, მაინც დიდძალ ხალხს მოეყარა თავი.

მინისტრის დანახვაზე გაისმა „ვაშა“ და ტაშის გრიალი. მოხსენებაში მინისტრი ფართოდ შეეხო საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობას. მოხსენება გაგრძელდა ორ საათზე მეტი. ხალხი ძლიერ კმაყოფილი დარჩა. მიღებულ იქნა მთავრობისადმი მისალმების რეზოლიუცია. 5 საათზე ადგილობრივ საკრებულოში გაიმართა ბანკეტი, რომელსაც დაესწრენ ერობისა და ქალაქის გამგეობანი სრული შემადგენლობით, ხმოსნები და სხვ. დაწე-

*) ეს საკითხი დასმულია ერობის გამგეობაში, დადგენილებას, დავბეჭდავთ ახლო მომავალში. რედ.

სებულებათა წარმომადგენლები.

7 საათზე ბ. მინისტრმა მოხსენება გააკეთა პარტიულ კრებაზე მომენტის შესახებ.

14 თებ. დილით კი წინდაწინ შედგენილი მარშრუტით გაემგზავრა აღმოსავლეთ გურიაში.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ—ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ.— თემის უბანში მოხდა რაიმე შემთხვევა: მკვლელობა გინდ დაკარგვა რისიმე. უბანი ახდენს მასსიურ კრებას კომისარის (ალბათ მილიციის უფროსის რედ.) თანდასწრებით და ყოველივე უტყუარი ნიშნებით ხალხს გამოუავს დამნაშავე და გამოაქვთ დადგენილება, რომ დამნაშავე პირს გადახდეს მოკლულის ან გაქურდული ოჯახის სასარგებლოთ ამდენი და ამდენი მანეთი და ამ დადგენილებას უგზავნიან თემის გამგეობას სისრულეში მოსაყვანათ. გთხოვთ გაგვიმარტოთ, აქვს უფლება თემის გამგეობას, განსაკუთრებით თავმჯდომარეს გინდ მის ამხანაგს, რომ პირადი მისი შეხედულებით ეს ქალალდი არ გადასცეს მომრიგებელ მოსამართლეს სისრულეში მოსაყვანად, დატოვოს უყურადღებოთ და ამბობდეს: მე თუ ვცან საჭიროდ მაშინ ქე მივსცემ ქალალდს მსვლელობას და თუ არა მაშინ უყურადღებოთ დარჩებაო?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ.— ამ კითხვას აქვს ახლო კავშირი და ბევრი საერთო პირველ კითხვასთან.*) როცა უბანი იკრიბება მილიციის თანდასწრებით, გამოუავს ქურდი გინდ მკვლელი და ისიც უტყუარი ნიშნებით ეს უაღრესად ღირსეული მოქმედებაა რესპუბლიკის მოქალაქისა, მაგრამ როცა ამავე კრებას გამოაქვს დადგენილება, რომ დამნაშავე პირს გადახდეს ამდენი და ამდენი მანეთი მოკლულის ოჯახის ან გაქურდულის სასარგებლოთ, მაშინ ეს კრება ითვისებს არა მარტო მილიციის, არამედ მოსამართლის უფლებასაც.

რესპუბლიკის კანონების ძალით დამნაშავის საქმე ჯერ უნდა იქნას გამოძიებული გამომძიებლის მიერ, შემდეგ ბრალდება მაზე წამოყენებული ამ გამოძიების მასალის მიხედვით და შემდეგ გასამართლებული სასამართლოში და მისი ჯარიმითა თუ სხვა სახით დასჯა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, როცა ის სასამართლოში გამტყუნდება და ამ მის სიმტყუნესთან დაკავშირებით. მომრიგებელი მოსამართლე თვითონ ასამართლებს დამნაშავეს და ყოველად დაუშვებელია, რომ მოსამართლეს უკვე გასჯილი საქმე გადაეცეს სისრულეში მოსაყვანათ.

*) იხ. „მოამბე“ № 6.

ამ განმარტების შემდეგ დასმულ კითხვაზე პასუხი ასეთია:—რადგანაც კრებამ უკვე დასდო მსჯავრი დამნაშავეს და ამით მოახდინა მისი გასამართლება, რომლის უფლებას კანონი ანიჭებს მხოლოდ მოსამართლეს, ამით მან, ე. ი. კრებამ, ჩაიდინა ერთნაირი თვითგასამართლება, რომელიც არც კრებას უნდა მოესურვებია და არც იქ მყოფ მილიციის უფროსს დაენებებია კრებისთვის, აქედან ცხადია ამ დადგენილებას თემის გამგეობა, გინდ თავმჯდომარე ვერც მიიღებდა ამ სახით და ვერც გადასცემდა მოსამართლეს. სამაგიეროთ თუ დამნაშავე უტყუარი საბუთებით არის აღმოჩენილი და წარმოდგენილი თემის გამგეობა და მისი თავმჯდომარე ვალდებული არიან დამნაშავე მთელი საბუთებით და ოქმით დაუყონებლივ გადასცენ გამომძიებელს.

ამნაირათ, თუ ერთი მხრივ ვათ არ აქვთ უფლება კრების ზემოთ დასახელებული გადაწყვეტილება მოიყვანონ სისრულეში, მეორე მხრივ ვალდებული არიან დაუყონებლივ მიიღონ დამნაშავის წინააღმდეგ სასტიკი ზომები, რაც უნდა გამოიხატოს დამნაშავის დატყვევებაში და მთელი საბუთებით მაზრის მილიციის განკარგულებაში გადაცემაში, რომელიც ამ დატყვევებულს და საბუთებს გადასცემს გამომძიებელს. მათი პასუხი—მინდა მივსცემ ქალალდს მსვლელობას და მინდა უყურადღებოთ დავტოვებო—უნდა ჩაითვალოს ყოვლად უკანონო და ულირს მოქმედებათ.

ᲔᲥᲘᲛᲘ
ს. ვ. ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ

ღებულობს შინაგან სენით ავათმყოფებს სიფილისის ექიმობა, „606“ და „914“.

ავათმყოფებს. ილებს 4—6 საათამდე.

ᲙᲝᲯᲘᲐ ᲡᲘᲐᲛᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ—ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ—ᲝᲖᲣᲠᲒ. ᲡᲐᲛᲐᲖᲠᲝ ᲔᲠᲝᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲒᲐ.

სტამბა ალექ. ა. კალატოზიშვილისა ქ. ოზურგეთში